



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე



KA012105248402914

ბრძანება №34/ს

თბილისი

02 / სექტემბერი / 2014 წ.

'საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 28 დეკემბრის №45/ს ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 63-ე მუხლის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 22 დეკემბრის №228 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 28 დეკემბრის №45/ს ბრძანებით დამტკიცებულ შრომის შინაგანაწესში შევიდეს ცვლილება და მე-4 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამუშაო დღე იწყება 09.00სთ-ზე და სრულდება 18.00სთ-ზე.“

„5. თანამშრომლის სამსახურში გამოცხადება და სამუშაო ადგილის დატოვება ფიქსირდება პირადობის ელექტრონული მოწმობის გამოყენებით , შენობის შესასვლელში დამონტაჟებული სპეციალურ ტექნიკურ აპარატზე.“

2. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ანაზღაურებად შვებულებაში გასვლისას თანამშრომელს საშვებულებო ანაზღაურება ეძლევა შვებულებაში გასვლამდე არაუადრეს 5 სამუშაო დღისა ან გასვლიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა“.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თავმჯდომარე



ირაკლი გვენეტაძე